ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29242202**
თარიღი:**07/08/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 07 აგვისტო 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 4500(ოთხიათასხუთასი) ლარი.
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები,

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 1000 ლარით წელიწადში ერთჯერადად. .

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის (დედა/მამა, მეუღლე) პირადობის მოწმობის ასლი.

ბ)შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

*დ)*ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1.ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი